ბრძანება:**ბ126. 126231103**
თარიღი:**20/04/2023**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი ელექტრონული პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 54-ე მუხლის, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, ელექტრონული აუქციონის ორგანიზების მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2023 წლის 18 აპრილის N 1 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ჯვარი ანდრია პირველწოდებულის ქ. ზე მდებარე 144 $მ^2$ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ N47.14.33.400
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --- 5000 ლარი
ბ) ,,ბე''-ს საფასური განისაზღვროს ---500 ლარი.
გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 100 ლარი.
დ) არსებული საპირფარეშოს (შენობა-ნაგებობის) დემონტაჟი და ახალი ორ განყოფილებიანი საპირფარეშოს მშენებლობის დასრულება სრულად 3 თვის ვადაში საკუთრების მოწმობის მიღებიდან.
2. პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge.-ზე გამოცხადების მომენტიდან 15(თხუთმეტი)კალენდარული დღით, ხოლო არასამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე პირველივე სამუშაო დღეს.
3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მე-11-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის თანახმად ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.
4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
5. პირობებიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.
6. პირობებიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.
7. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონსი რეგისტრირებული პირები, რომლებმაც ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/ გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაწრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ, ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია

სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.
8. პირობებიან ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/ გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად იროცხება შესაბამის ბიუჯეტში, თუ:
8.1 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელმოწერაზე უარი განაცხადა;
8.2 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.
9. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია დაიცვას პირობებიანი ელექტრონული აუქციონში მონაწილეობის წესები, დადგენილი წესით დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები.
10. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და მუნიციპალიტეტის შეძენილ;ი ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში ,თუ მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.
11. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა:
11.1 თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
11.2 საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1 % დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
11.3 მყიდველის მიერ სხვა საუქციონო და ოქმის პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს ყოველ დარღვევაზე ქონების ღირებულების 0,05%.
12. ოქმით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.
13. თანხა ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირებმა უნდა გადაიხადონ: მიწის უძრავი ქონების პრივატიზებისას - ანგარიშის ნომერი NN300393313.
11. ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.
12. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებრო ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს ვებგვერდზე: www.eauction.ge.
13. ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაციის სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტოს ვებგვერდზე www.eauction.ge განთავსება უზრუნველყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურმა.
14. ელექტრონული აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა და ელექტრონული აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

ივანე ბურდული

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი